

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი

21 მარტი, 2014 წელი

სსიპ -ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ქეთევან ჯაყელის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გია მამულაშვილის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

ურთიერთთანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს:

1. ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მომზადება და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების სკოლის მოსწავლეებისა და თემის წარმომადგენლებისთვის ქართული ენის სწავლება, რისთვისაც სკოლა დაუთმობს სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონულ სასწავლო ცენტრის სატრენინგო ოთახებს;
2. ერთობლივი აქტივობების განხორციელება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების მიზნით.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

ცენტრი ვალდებულია იღებს:

1. ერთი თვით ადრე გადაუგზავნოს სკოლას შესათანხმებლად განრიგი მის საკუთრებაში არსებული რეგიონული ცენტრების ფართის გამოყოფის მიზნით. განრიგში მითითებული უნდა იყოს თარიღები, აქტივობის ხანგრძლივობა და მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობა;
2. გაუფრთხილდეს სკოლის ინვენტარს და ძირითად აქტივებს. იმ შემთხვევაში თუ სჭირდება სკოლის ინვენტარი, ტექნიკა და ა.შ. მოხდეს სკოლასა და ცენტრს შორის მიღება-ჩაბარებისა და ჩაბარება-მიღების აქტების გაფორმება.

სკოლა ვალდებულია იღებს:

1. ცენტრს უსასყიდლოდ დაუთმოს სსიპ-ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლისა და მის საკუთრებაში არსებული რეგიონული ცენტრების სატრენინგო ოთახები;
2. ცენტრს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე უსასყიდლოდ დაუთმოს მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა, რათა გაადვილდეს ცენტრის საქმიანობა;

სკოლა ვალდებულია არ იღებს:

- ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგ-სემინარები უზრუნველყოს სასწავლო სახელმძღვანელოებით და სხვა სასწავლო და მეთოდური მასალებით, საწერი საშუალებებით, მატერიალური და ფინანსური რესურსებით.
- უზრუნველყოს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მსმენელთა მოზიდვა, დასწრება და მათთვის სერტიფიკატების დამზადება.

მუხლი 3. მოქმედების ვადა

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ სანამ ერთერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.
2. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 4. მხარეთა ხელმოწერები

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების
სკოლის დირექტორი

ქეთევან ჯაყელი



სსიპ მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

გია მამულაშვილი

